

2018 წლის 9 მაისი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 9 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი, მთავარი მსაჯის გ. ლემონჯავასა მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მიმართვა, ამა წლის 3 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და თბ „ხვამლი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ხვამლი“-ს წარმომადგენელი თენგიზ ჯინაშვილი - მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება, არასპორტული და არაეთიკური საქციელი მატჩის ოფიციალური პირის მიმართ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1, 2.1.2 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 1.1, 1.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ხვამლი“-ს წარმომადგენელი თ. ჯინაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.1 პუნქტი და კლუბ თბ „ხვამლს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/